



საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია –
კიდევ ერთი შეუფოთების საგანი
სინო-ქართულ ურთიერთობებში

ავტორი: ანი კინწურაშვილი

ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, განცხადებები და კომენტარები,
ეკუთვნის მხოლოდ მას/სამოქალაქო იდეას და
არ ასახავს დამხმარე ორგანიზაციების პოზიციას.
შესაბამისად, არც ერთი დამხმარე ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი
ინფორმაციული მასალის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი	3
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გავლენა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაზე	7
ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია (CAS).....	8
ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემია (CASS).....	12
შანდონგის (SHANDONG) ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (SDUT)	13
იანტაის ახალი და მაღალი ტექნოლოგიების ზონის გაცვლის საერთაშორისო ცენტრი	15
იანტაის ეროვნული მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრიული განვითარების ზონა & LINYI TOP NETWORK CO., LTD	17
შანდონგის (SHANDONG) მეცნიერებათა აკადემია	19
თანამშრომლობა გუანდონგის (GUANGDONG) პროვინციასა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პროვინციულ ასოციაციასთან	20
ქართველი აკადემიკოსების როლი სინო-ქართული სამეცნიერო თანამშრომლობის გადრეგავებაში	21
დასკვნა	29

შესავალი

ჩინეთის კომუნისტური პარტიის რბილი და ხისტი ძალის სტრატეგიები საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას გარკვეულ საფრთხეს უქმნის. არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეამ“ ამ თემაზე ორი ანგარიში გამოაქვეყნა – „კოვიდ-19-ის“ პანდემიამდე და მას შემდეგ ჩინეთის გავლენების შესახებ საქართველოს აკადემიურ წრეებში, მედიასა და სამოქალაქო სექტორში. ჩვენს ანგარიშებში, კვლევებისა და განათლების სფეროში ჩინეთის ბერკეტების შესწავლისას, ძირითადი აქცენტი საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების/უნივერსიტეტების მიერ ჩინელ კოლეგებთან დამყარებულ ურთიერთობებზე გაკეთდა.

ამჯერად კი შემოგთავაზებთ მორიგ მონიტორინგის ანგარიშს სინო-ქართული აკადემიური თანამშრომლობის ციკლიდან, თუმცა ეს უკანასკნელი დაკავშირებულია არა უშუალოდ უნივერსიტეტებთან, არამედ, საქართველოს მეცნიერების ეროვნულ აკადემიასთან, რომელიც 1941 წლიდან ფუნქციონირებს და რომელსაც „საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველის“¹ იურიდიული სტატუსი აქვს.

პერსონალური მიმოწერისა და იმ საჯარო ინფორმაციის საშუალებით, რომელიც ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებსაიტზე, „სამოქალაქო იდეამ“ აღმოაჩინა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ჩინურ სახელმწიფო და კერძო უწყებებთან გაფორმებული რამდენიმე მემორანდუმი და თანამშრომლობის ხელშეკრულება, ასევე, ჩინეთთან გაღრმავებული ურთიერთობების შემდეგ განხორციელებული მრავალი ღონისძიება და აქტივობა. მივაკვლიეთ საინტერესო კავშირებს, რომლებიც აკადემიისა და ჩინეთის უნივერსიტეტების ეგიდით, უკვე დამყარდა მეცნიერებათა აკადემიების ადგილობრივ ხელმძღვანელებსა და ცალკეულ მეცნიერებს შორის, რაც გვამღევს საშუალებას, ვიფიქროთ, რომ აქტიური კვლევითი და აკადემიური საქმიანობა მხოლოდ ხელს შეუწყობს მხარეებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაზრდას.

ჩნდება კითხვები: რატომ ემუქრება ეს ურთიერთობები საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას? როგორ შეუძლია ჩინეთს მსგავსი სამეცნიერო თანამშრომლობით სარგებლობა?

ნაკლებად სავარაუდოა, რომ დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კავშირები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან პირდაპირ საფრთხეს უქმნიდეს

¹ Official website of The Georgian National Academy of Sciences. From http://science.org.ge/?page_id=2491&lang=en

საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას, რადგან აკადემიის გავლენა, რესურსები და ძალაუფლება გარკვეულწილად შეზღუდულია. თუმცა, მომავალში, მეცნიერების სფეროს გამოცოცხლების კვალდაკვალ, ჩინეთთან დამყარებული კავშირები პრობლემად შეიძლება იქცეს. მაგალითად, თუ ჩინეთის მთავრობა გამოიყენებს აკადემიასთან თავის კავშირებს სენსიტიურ ან გასაიდუმლოებულ ინფორმაციაზე წვდომის მოსაპოვებლად, ან – გავლენას მოახდენს საქართველოს კვლევისა და განვითარებაზე ისეთი გზებით, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, მაშინ მათი პარტნიორობა შეიძლება სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველად ჩაითვალოს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თავისი ფართო სპექტრის ინსტიტუტებით აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სამინისტროებთან, მათ შორის თავდაცვის სამინისტროსთან. გარდა ამისა, ჩინეთის მთავრობამ შესაძლოა, მსგავსი პარტნიორობა საქართველოს მთავრობაზე ბერკეტების მოსაპოვებლად ან მის საშინაო საქმეებში ჩარევისთვის გამოიყენოს, რაც ასევე შეიძლება განვიხილოთ, როგორც საფრთხე ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა უკვე გამოთქვეს უკმაყოფილება პოტენციური საფრთხეების შესახებ, რომელიც უკავშირდება ჩინეთთან სამეცნიერო თანამშრომლობას. ზოგიერთმა ქვეყანამ ოფიციალურად აღიარა ამ რისკების არსებობა და წარმოადგინა რეკომენდაციები/რეგულაციები, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას მოერგოს. მაგალითად, ავსტრალიის სტრატეგიული პოლიტიკის ინსტიტუტი (ASPI) იტყობინება, რომ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია ჩართული იყო ავსტრალიის უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივ კვლევით პროექტებში.² რამდენიმე ასეთი კვლევა განხორციელდა მოწყვლად სფეროებში, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, კვანტური გამოთვლები და ჰიპერბგერითი ტექნოლოგია, რომლებიც შესაძლოა სამხედრო სფეროში გამოიყენებოდეს და, შესაბამისად, შეშფოთების საგანიც გახდეს ტექნოლოგიების ან ინფორმაციის გადაცემის კუთხით. კიდევ ერთი ნათელი მაგალითია აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტი, რომელმაც კანზასის უნივერსიტეტის ჩინელ მკვლევარს თადლითობისა და ჩინეთის მთავრობასთან კავშირების დამალვის გამო ბრალი წაუყენა.³ ჩეხურმა ორგანიზაცია Sinopsis-მა ჩაატარა საფუძვლიანი კვლევა ჩინეთის რესპუბლიკასთან სამეცნიერო და ტექნოლოგიური თანამშრომლობით გამოწვეული საფრთხეების შესახებ, როგორიცაა კიბერჯაშუშობა, მეცნიერების პოლიტიზება,

² ASPI. (2019, 11 25). *Exploring the military and security links of China's universities*. From www.aspi.org.au:https://www.aspi.org.au/report/china-defence-universities-tracker

³ US Department of Justice. (2019, August 21). *University of Kansas Researcher Indicted for Fraud for Failing to Disclose Conflict of Interest with Chinese University*. From www.justice.gov:bit.ly/3yqR6SG

ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების განვითარება, რომლებიც გამოიყენება თავდაცვის მიზნებისთვის ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ, უცხოური კვლევითი ინსტიტუტების ჩართულობა ჩინეთის "სამხედრო-სამოქალაქო შერწყმის" (military-civil fusion) სტრატეგიაში და ა.შ.⁴ შვედეთის ეროვნულმა ჩინეთის ცენტრმა ასევე გამოაქვეყნა ანგარიში სინო-შვედური სამეცნიერო თანამშრომლობის გამოწვევებზე და წარადგინა რეკომენდაციები ცნობიერების ამაღლებისა და პოტენციური რისკების თავიდან აცილების შესახებ.⁵

მთლიანობაში, დემოკრატიული სახელმწიფოები ვარაუდობენ, რომ არა მხოლოდ სამეცნიერო სფეროში მოწინავე პოზიციის დასაკავებლად, არამედ სხვა სახელმწიფოების ეროვნულ უსაფრთხოებაზე ზეგავლენის მოსახდენად, ჩინეთი იყენებს რამდენიმე გზას:

- მოწინავე ტექნოლოგიებსა და კვლევებზე წვდომა - უცხოურ აკადემიებთან თანამშრომლობით, ჩინეთს შეუძლია წვდომა მიიღოს ისეთ უახლეს ტექნოლოგიებსა და კვლევებზე, რომლებიც შესაძლოა, ჯერ არ იყოს ხელმისაწვდომი ჩინეთში.
- გავლენა კვლევაზე და განვითარებაზე - თუ ჩინეთი გამოიყენებს არსებულ თანამშრომლობას სხვა სახელმწიფოებში კვლევისა და განვითარების მიმართულებაზე ზემოქმედებისთვის, ამან შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ამ ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს.
- სენსიტიურ ან გასაიდუმლოებულ ინფორმაციაზე წვდომა - თუ ჩინეთი ამ თანამშრომლობით მოიპოვებს სხვა ქვეყნების სენსიტიურ ან გასაიდუმლოებულ ინფორმაციაზე წვდომას, მას ასევე შეუძლია ზიანი მიაყენოს ამ ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოებას.
- გავლენა მთავრობებზე - ჩინეთს შეუძლია თანამშრომლობა სხვა მთავრობებზე გავლენების მოსაპოვებლადაც გამოიყენოს, ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე ზემოქმედებისთვის, რაც კვლავ ზიანს აყენებს მათი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს.
- ქვეყნების შიდა საკითხებში ჩარევა - ჩინეთს შეუძლია, თანამშრომლობა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისთვის გამოიყენოს, რაც ასევე ზიანს აყენებს ამ ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას.
- საერთაშორისო ხილვადობა და რეპუტაცია - წამყვან უცხოურ აკადემიებთან თანამშრომლობით და მათი ინტელექტუალური რესურსების გამოყენებით,

⁴ Sinopsis, & Lipold, T. (2023). *Scientific exchanges with Chinese characteristics - Limits and pitfalls of academic cooperation with the People's Republic of China*. From www.sinopsis.cz: <https://bit.ly/3l10nhh>

⁵ Swedish National China Centre. (2021, November). *Swedish experiences of research collaboration with China: Challenges and the way forward*. From www.ui.se: <http://bit.ly/3J9A0ha>

ჩინეთს შეუძლია გააძლიეროს თავისი რეპუტაცია, და მისი როლი, როგორც მთავარი მოთამაშის, გლობალურ სამეცნიერო საზოგადოებაში.

- **ეკონომიკური სარგებელი** - მეცნიერულ თანამშრომლობას შეუძლია ხელი შეუწყოს ტექნოლოგიების გადაცემის, ერთობლივი წარმოების და ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა ფორმების განვითარებას, რაც საბოლოოდ გამოიწვევს ჩინეთის, როგორც მთავარი ფინანსურ/ეკონომიკური პარტნიორის დამკვიდრებას, რაც თავისთავად ჩინეთის კომუნისტურ პარტიას გაუმარტივებს სხვადასხვა სახელმწიფოს ადგილობრივი სავაჭრო ბაზრის ექსპლუატაციას.

ეს მაგალითები ავტომატურად არ გულისხმობს იმას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და მეცნიერებათა აკადემიებს შორის არსებული ნებისმიერი სახის თანამშრომლობა საზიანოა უცხო სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოებისთვის. მიუხედავად ამისა, აუცილებელია მსგავსი თანამშრომლობის მუდმივი მონიტორინგი, რათა დავრწმუნდეთ, რომ მოცემული პარტნიორული კავშირები ორმხრივად მომგებიანია, დაცულია ქვეყნის ეროვნული ინტერესები და, შესაბამისად, სენსიტიური ინფორმაციისა და ტექნოლოგიების გადაცემის უსაფრთხოებაც. მიუხედავად ამისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ჯერ კიდევ გასააზრებელი აქვს ჩინეთის სხვადასხვა კვლევით ცენტრთან, კომპანიასა თუ აკადემიურ უწყებებთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკები. როგორც ჩანს, ადგილობრივი მეცნიერებათა აკადემია არ ამოწმებს ჩინეთის იმ სახელმწიფო თუ კერძო უწყებების რეპუტაციას, რომლებთანაც იგი აფორმებს გრძელვადიან და ხანდახან უვადო თანამშრომლობის ხელშეკრულებებს. ამას მოწმობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან კოორდინირებული აქტივობებისა და პუბლიკაციების რაოდენობაც. კერძოდ, დღესდღეობით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას თანამშრომლობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ სუბიექტებთან:

- **ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია (CAS)**
- **ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემია (CASS)**
- **შანდონგის ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (SDUT)**
- **იანტაის ახალი და მაღალი ტექნოლოგიების ზონა**
- **იანტაის ეროვნული მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრიული განვითარების ზონა**
- **Linyi Top Network Co., Ltd,**
- **შანდონგის მეცნიერებათა აკადემია**
- **გუანდონგის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პროვინციული ასოციაცია**

ზემოთ აღნიშნული ზოგიერთი სტრუქტურა და ინსტიტუტი დაბალი, საშუალო, მაღალი და ზოგჯერ ძალიან მაღალი უსაფრთხოების რისკების მატარებელია და ჩინეთის სახელმწიფოს სამხედრო და თავდაცვის კვლევებთან,

პროგრამებთან და ინსტიტუტებთან არის დაკავშირებული. ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ მეცნიერების დარგში სინო-ქართულ მემორანდუმებსა და საქმიანობას. ჩვენ ასევე შევხებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ უცხოური სამეცნიერო ინსტიტუტების ექსპლუატაციის საერთაშორისო შემთხვევებს და მის შეკავების პოლიტიკას, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფო ახორციელებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გავლენა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაზე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე აღნიშნულია, რომ 2015 წლიდან დღემდე ამ უკანასკნელს „განსაკუთრებული ურთიერთობა“ ჩამოუყალიბდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. ეს ფაქტი დასტურდება ჩინურ სამეცნიერო საზოგადოებასთან გაფორმებული მემორანდუმებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებების სიმრავლით. აკადემიის მიერ „სამოქალაქო იდეასთვის“ მიწოდებული დოკუმენტების საფუძველზე ვლინდება, რომ ამ პარტნიორობის ფარგლებში გაიხსნა ერთობლივი ბიოლოგიური ლაბორატორიები და კვლევითი ცენტრები, როგორც ჩინეთში (განსაკუთრებით გუანდონგისა და შანდონგის პროვინციებში) ისე საქართველოში, რამაც ასევე შექმნა საფუძველი მუდმივი ვიზიტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამებისთვის. გარდა ამისა, ირკვევა რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ფინანსური შემოსავალი ჩინური ორგანიზაციებიდანაც აქვს მიღებული. მაგალითად, 2019 წელს, ყოველწლიურ ანგარიშში, შესაბამისი „სამეცნიერო მომსახურების“ გაწვევისთვის აკადემიას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისგან 43 600 ლარის ოდენობის თანხა აქვს მიღებული.⁶ მიუხედავად ამისა, ვებგვერდზე არ არის მითითებული უსაფრთხოების ის რისკები, რომლებსაც მათი ზოგიერთი ჩინელი პარტნიორი ატარებს. მაგალითად ის, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან თანამშრომლობაში მონაწილე ჩინური მხარე, ხშირ შემთხვევაში ჩართულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო კვლევებსა და სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საქმიანობაში. ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე მემორანდუმს, რომლებიც ჩვენი აზრით, სწორედ, მსგავს საექსპოზიციო ნარატივებს შეიცავს.

⁶ The Georgian National Academy of Sciences. (2019). *Annual Report 2019*. From [www.science.org.ge: http://science.org.ge/wp-content/uploads/2020/10/Angarishi2019.pdf](http://science.org.ge/wp-content/uploads/2020/10/Angarishi2019.pdf)



ჩინეთთან თანამშრომლობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს სინო-ქართული მეცნიერებათა აკადემიების დაახლოება წარმოადგენს. 2019 წელს, საქართველოს ვიზიტით ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის (CAS) მეცნიერთა 8-კაციანი დელეგაცია ეწვია. მათ შეხვედრები გამართეს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან, ბატონ გიორგი კვესიტაძესთან და აკადემიის სხვა წევრ მეცნიერებთან.⁷ შეხვედრების შედეგად, ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, მხარეებმა უვადო თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. ხელშეკრულების მთავარი მიზანი ქართველ და ჩინელ მკვლევარებსა და მეცნიერებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება გახლდათ, მათ შორის, გაცვლითი პროგრამების წახალისება, ერთობლივი კვლევითი აქტივობები, მხარეთა მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო შეხვედრებში მონაწილეობა, ასევე, სიმპოზიუმების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების გამართვა და სხვა. მემორანდუმი მოიცავს შემდეგ სფეროებს: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მედიცინა, გეოლოგია, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა და ინჟინერია, ინფორმატიკა და გარემოს დაცვა. 2018 წლის 26 დეკემბერს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ქიმიის დარგში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად ჩინეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროპაგანდისტი და ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ბაი ჩუნლი აირჩია.⁸ აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის თანამდებობის პარალელურად, 2011 წლიდან – 2020 წლამდე, ბაი ჩუნლი პარტიის წევრად მსახურობდა. თავის მრავალრიცხოვან სტატიებში, ის აქტიურად ეწევა იმ აზრის პროპაგანდას, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის „ხელმძღვან-ელობა და პარტიის მიერ გაწეული ერთობლივი ძალისხმევა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მამოძრავებელი ფაქტორია კვლევით ორგანიზაციებში ინოვაციის მისაღწევად“.⁹ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან მტკიცედ დაუჭირა მხარი ნარატივს, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია წარმოადგენს წარმატების მთავარ საწინდარს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებისთვის.

⁷ The Georgian National Academy of Sciences. (2019, September 19). *Memorandum with the Chinese Academy of Sciences*. From [www.science.org.ge: http://science.org.ge/?p=5638](http://science.org.ge/?p=5638)

⁸ The Georgian National Academy of Sciences. (2018). *Annual Report 2018*. From [www.science.org.ge: http://science.org.ge/wp-content/uploads/2020/07/2018.pdf](http://science.org.ge/wp-content/uploads/2020/07/2018.pdf)

⁹ BluePath Lab. (N/A). *China's Model of Science: Rationale, Players, Issues*. From [www.bluepathlabs.com: https://www.bluepathlabs.com/uploads/1/1/9/0/119002711/model_of_science_proof_final.pdf](https://www.bluepathlabs.com/uploads/1/1/9/0/119002711/model_of_science_proof_final.pdf)

გარდა იმისა, რომ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია ჩინეთის კომუნისტური პარტიის სტრატეგიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს და მის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მისი სახელი უკავშირდება უამრავ სკანდალს, როგორც ჩინეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მისი გადაცდომები მოიცავს თაღლითობას, გაყალბებულ კვლევას, პლაგიატს, საეჭვო აკადემიურ მიღწევებს, პრობლემურ სტანდარტებს და ა.შ. 2020 წელს, ოთხმოცდაათმა მეცნიერმა დატოვა ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია და მისი ცალკეული ინსტიტუტები, რაც უპრეცედენტო მოვლენა იყო და ამ შემთხვევის გამოსაძიებლად სპეციალური საგამომიებო ჯგუფიც კი შეიქმნა.¹⁰ თუმცა, ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ, შედეგები გასაიდუმლოებული დარჩა და მხოლოდ შიდა დისკუსიით შემოიფარგლა. ხოლო აკადემიის დირექტორს, რომელიც ამ ინციდენტში მთავარ დამნაშავედ ითვლებოდა, თანამდებობა შეუნარჩუნდა. იმავე წელს, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი მკვლევარი იანგ ჰუი, პლაგიატში დაადანაშაულეს. აღსანიშნავია, რომ ჰუი არ არის აკადემიის ერთადერთი ექსპერტი, რომლის მიმართაც მსგავსი ბრალდებები გაჟღერდა. ასევე, პლაგიატში იყვნენ ბრალდებულები სუ იუფენი და პეი განგი (CAS-ის კვლევის ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარე).¹¹ აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები, ხშირად ასაღებენ თავიანთ მიგნებად ისეთ ტექნოლოგიურ ინოვაციებს, რომლებიც უკვე დანერგილია სხვა სახელმწიფოებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელი უცხოურ სკანდალებშიც ფიგურირებს. მაგალითად, ვირჯინიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ინჟინერიის პროფესორმა, პერსივალ ჟანგმა, დააარსა კვლევითი ცენტრი/კომპანია "Cell-Free Bioinnovations", რომელიც დამოკიდებული იყო მხოლოდ შეერთებული შტატების ეროვნული სამეცნიერო ფონდის (NSF) გრანტებზე. 2014 წელს, პერსივალ ჟანგმა კვლევითი კომპანიის პარალელურად მუშაობა ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიაში დაიწყო. 2015 წელს კი, მას ბრალი დასდეს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ყალბი შეთავაზებების წარდგენასა და მიღებული თანხის არამიზნობრივ გამოყენებაში. შესაბამისად, აღმოჩნდა, რომ მას თანხა იმ კვლევისთვის არ გამოუყენებია, რაც თავდაპირველად იყო შეთანხმებული.¹²

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა განსაკუთრებულ კონცენტრაციას ახდენს იმ მეცნიერების დარგებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე, რომელიც თავ-

¹⁰ Zhang, H. (2020, September 30). *The Chinese Academy of Sciences pledges to develop core technologies - Is this a joke?* From www.theepochtimes.com: <http://bit.ly/3ypT7yL>

¹¹ Yanhao, H., & Jia, D. (2021, January 28). *Chinese Academy of Scientists Declines to Re-Investigate Fraud Accusation*. From www.caixinglobal.com: <http://bit.ly/3Jrlb9Y>

¹² Homeland Security. (2019, November 18). *Majority and minority staff report – threats to the u.s. research enterprise: china's talent recruitment plans*. From www.hsgac.senate.gov/: <http://bit.ly/3ZS1NKT>

დაცვისა და უსაფრთხოების სექტორებთანაა დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ შექმნა ცალკე განყოფილება, სახელწოდებით – „ნიჭის კოორდინაციის მცირე ჯგუფი („TWCSG“),¹³ რომელიც პასუხისმგებელია ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევაზე, სტრატეგიების შემუშავებაზე, პოლიტიკის კვლევასა და 18 სხვადასხვა სააგენტოს, მათ შორის ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის კოორდინაციაზე.¹² ისევე როგორც სხვა 18 სუბიექტი, ეს უკანასკნელი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩინეთის კომუნისტური პარტიის "ათასი ნიჭის პროგრამის" (Thousand Talent Program (TTP)) განხორციელებაში¹⁴, პროგრამის წევრების მიერ ჩატარებული სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევების დაფინანსებაში, რეკრუტირებასა და მიზნობრივ კვლევაში, ასევე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საჭიროებების იდენტიფიცირებაში და მეცნიერების დარგში. ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მიერ წარმოებული გამოძიების თანახმად, ჩინური უწყებები, უცხოელი პარტნიორების სახელმწიფო საიდუმლოებების მოპარვის მიზნით, აქტიურად იყენებენ TTP-ის ფარგლებში განხორციელებულ აკადემიურ გაცვლით პროგრამებს.¹⁵ სწორედ ამ მიზნების განსახორციელებლად, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია განსაკუთრებით აქტიურობდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და ადგილობრივი კვლევითი და სამეცნიერო ბაზებიც კი დააარსა. მაგალითად, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიამ დააარსა ჩინეთისა და ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტი (China-CEE Institute) ბუდაპეშტში და ჩინეთის კვლევების ცენტრი საბერძნეთში.¹⁶ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია ასევე ძალიან აქტიურია გერმანიაში, სადაც ათწლეულების განმავლობაში კონკრეტული მისიით გზავნიდა და გზავნის დღესაც ჩინელ მკვლევარებს. მოგვიანებით კი, სწორედ უცხოეთში „ჩანერგილი აგენტების“ მიერ დაგროვილ ცოდნას ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიზნებს ახმარს.¹⁷

¹³ Florida House of Representatives. (2020, January 16). *Select Committee on the Integrity of Research Institutions*. From www.bakerdonelson.com:

<https://www.bakerdonelson.com/webfiles/Publications/Select-Committee-2020-01-21.pdf>

¹⁴ Thousand Talent Program/Plan (TTP) – თავდაპირველად, 2008 წელს, „იგი გულისხმობდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებულ სქემას, რომელიც ეხებოდა საზღვარგარეთ მცხოვრები წამყვანი ჩინელი მეცნიერების, აკადემიკოსებისა და მეწარმეების ჩინეთში დაბრუნებას. 2011 წელს, სქემა გაფართოვდა და შეეხო ახალგაზრდა ნიჭიერ უცხოელ მეცნიერებსაც. ათწლეულის განმავლობაში, TTP-ში 7000-ზე მეტი ადამიანი ჩაერთო.“; Source: <https://media.nature.com/original/magazine-assets/d41586-018-00538-z/d41586-018-00538-z.pdf>

¹⁵ Palit, P. S. (2022, February). *China's 'Influence Operations' in Academia, Confucius Institutes and Soft Power: Strategic Responses of India, Bangladesh and Nepal*. From www.sandia.gov: <https://www.sandia.gov/app/uploads/sites/148/2022/02/SAND2022-12490.pdf>

¹⁶ BRATTBERG, E., CORRE, P. L., STRONSKI, P., & WAAL, T. D. (2021, October 13). *China's Influence in Southeastern, Central, and Eastern Europe: Vulnerabilities and Resilience in Four Countries*. From www.carnegieendowment.org: <https://bit.ly/3FduKb4>

¹⁷ Stoff, J. (2023). *Should Democracies Draw Redlines around Research Collaboration with China? A Case Study of Germany*. From www.researchsecurity.org: <https://bit.ly/3my8Wk2>

ვინაიდან ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ერთეული, რომელიც აერთიანებს 50000-მდე თანამშრომელსა და 100-მდე კვლევით ინსტიტუტსა და ლაბორატორიას, არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ ჩინეთის მთავრობას მის ყველა კვლევით საქმიანობასა თუ სენსიტიურ ინფორმაციაზე აქვს წვდომა. უფრო მეტიც, ავსტრალიის სტრატეგი-



中国科学院大学

University of Chinese Academy of Sciences

ული პოლიტიკის ინსტიტუტის (ASPI) მიერ შექმნილი China Defense Universities Tracker-ის, იგივე Unitracker-ის ვებგვერდის მიხედვით, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის უნივერსიტეტი (UCAS)¹⁸, რომელიც ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1978 წელს დააარსა, უსაფრთხოების საშუალო რისკის

მატარებელია, რასაც მისი თავდაცვის სფეროში ჩართულობა, კერძოდ კი, თავდაცვის სფეროში განხორციელებული კვლევები და სამხედრო კავშირები განაპირობებს. უფრო კონკრეტულად, UCAS-მა დააარსა "სამხედრო-სამოქალაქო შერწყმის" განვითარების კვლევითი ცენტრი და ბაზა ჩინეთის საჰაერო რაკეტების კვლევის ინსტიტუტში. UCAS აქტიურად მუშაობს ტექნოლოგიების განვითარებაზე, პერსონალის გადამზადებაზე და ქმნის "სამხედრო-სამოქალაქო შერწყმისთვის" ტექნოლოგიების სავაჭრო პლატფორმას ეროვნულ დონეზე.¹⁹ ზემოთ განხილული საგრანტო თანხების ქურდობასთან ერთად, ჩინეთის მთავრობის სამხედრო მიზნების განსახორციელებლად კვლევის მოპარვის ალბათობაც არსებობს. 2020 წელს, FBI-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ მიერ გამომიღებული ინტელექტუალური საკუთრების ქურდობის შემთხვევებიდან, 1000 სწორედ ჩინეთის კომუნისტურ პარტიას და მის "სამხედრო-სამოქალაქო შერწყმის" სტრატეგიას უკავშირდებოდა.²⁰

საერთო ჯამში, არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სინო-ქართულ აკადემიებს შორის დამყარებული თანამშრომლობა სამხედრო მიზნებისთვისაც შეიძლება იყოს გამოყენებული. კერძოდ, სამხედრო მიზნებისთვის კვლევებისა და ინფორმაციის ქურდობასთან ერთად, ქართველი ექსპერტები შეიძლება უნებლიედ ჩაერთონ ისეთ ტექნოლოგიურ თუ სამეცნიერო კვლევებში, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ჩინეთის სახელმწიფო ინტერესებს ემსახურება.

¹⁸ University of Chinese Academy of Sciences. (n.d.). *Official website of the University of Chinese Academy of Sciences*. From <https://englishucas.ac.cn>

¹⁹ ASPI. (n.d.). *University of Chinese Academy of Sciences*. From <https://unitracker.aspi.org.au/universities/university-of-chinese-academy-of-sciences/>

²⁰ ShareAmerica. (2020, January 30). *Why the U.S. is concerned about Chinese research theft*. From <http://bit.ly/3yoQeyd>



ჩინეთის მასშტაბით კიდევ ერთ გავლენიან აქტორს ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემია წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ მართული ანალიტიკური ცენტრია, რომელმაც 2017 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ხუთწლიან მემორანდუმს მოაწერა ხელი.²¹ მხარეები შეთანხმდნენ: დელეგაციებისა და ექსპერტებისთვის გაცვლით პროგრამებზე, ერთობლივი კონფერენციებისა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზებაზე, ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ჩატარებაზე, პუბლიკაციების გაცვლასა და საერთო ინტერესის მატარებელი სამეცნიერო მასალების ერთმანეთისთვის მიწოდებაზე.

CASS ასევე არაერთხელ გამხდარა განხილვის საგანი, არა იმიტომ, რომ განსაკუთრებული ლოიალურობით გამოირჩევა კომუნისტური იდეოლოგიის მიმართ, არამედ პირიქით. მრავალი ათწლეულის განმავლობაში, ჩინეთის მთავრობისთვის, ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემია, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიასთან შედარებით პოლიტიკურად ნაკლებად საიმედო იყო. ჩინეთის ხელისუფლებამ 1989 წლის 4 ივნისის დემონსტრაციებში ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის წევრების ჩართულობა კი გაამჟღავნა.²² მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ მაინც მოახერხა სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის დამორჩილება არა იდეოლოგიით, არამედ კონკრეტული რეგულაციებით. სხვა სიტყვებით, ჩინეთის ხელისუფლება ირჩევს ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერტებს, მეცნიერებს და აკადემიკოსებს, რომლებიც მზად არიან მიიღონ და დაემორჩილონ მათ წესებს და არა აუცილებლად მათ კომუნისტურ ფილოსოფიას. ამიტომ, საბოლოო ჯამში, ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემია მაინც უპირობოდ ასრულებს ჩინეთის კომუნისტური პარტიის მითითებებს.

გარდა ამისა, CASS-ის კურსდამთავრებულმა, ჩანგუა ლინმა, თავის კვლევაში აღწერა პლაგიატისა და თვითპლაგიატის შემთხვევები ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიაში.²³ აღმოჩნდა, რომ პლაგიატის პრობლემა ძალიან აქტუალურია მთელ აკადემიაში, განსაკუთრებით მაღალი რანგის აკადემიკოს-

²¹ International Science Council. (n.d.). *Chinese Academy of Sciences*. From

<https://council.science/member/china-chinese-academy-of-social-sciences-cass/>

²² Sleeboom-Faulkner, M. (2007). *Regulating Intellectual Life in China: The Case of the Chinese Academy of Social Sciences*. From <https://www.jstor.org/stable/20192737>

²³ Lin, C. (2019, October). *Young Economists' Cognition of Integrity Environment in Academic Innovation: an Investigation Based on Self-plagiarism*. From www.atlantis-press.com: http://bit.ly/3ZFqx8s

ებში. მაგალითად, 2019 წელს, CASS-ის ამერიკული კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელს, ვუ ბაისს ბრალი დასდეს აშშ-ჩინეთის სავაჭრო ომის წარმოშობის კვლევისა და მონაცემების პლაგიატში.²⁴ შესაბამისად, არც საქართველოს აკადემია არის დაცული პლაგიატის შემთხვევებისგან ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიასთან თანამშრომლობის, სამეცნიერო მასალების მიწოდებისა თუ გაცვლის დროს.

შანდონგის (SHANDONG) ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (SDUT)



"ერთი სარტყელი–ერთი გზა" ინიციატივის ფარგლებში, 2019 წელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ხელი მოაწერა მემორანდუმს (ხუთი წლის ვადით) შანდონგის ტექნოლოგიის უნივერსიტეტთან (SDUT)²⁵, ჩინეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უნივერსიტეტთან, რომელიც ფუნქციონირებს 1958

წლიდან. Unitracker-ის ვებგვერდზე, შანდონგის ტექნოლოგიის უნივერსიტეტი მოხსენიებულია, როგორც უსაფრთხოების დაბალი რისკის მატარებელი დაწესებულება, მის მიერ წარმოებული მცირე რაოდენობის თავდაცვის კვლევების გამო.²⁶ მიუხედავად ამისა, 2018 წელს, შანდონგის უნივერსიტეტთან ერთად, SDUT-მა მიიღო მონაწილეობა თავდაცვის ინდუსტრიული სააგენტოს SASTIND-ის მიერ ორგანიზებულ თავდაცვის ტრენინგებში, რაც ნიშნავს, რომ მისი როლი თავდაცვის კვლევების კუთხით უახლოეს წლებში გაიზრდება. ზემოაღნიშნული შეთანხმების საფუძველზე ქართული და ჩინური მხარეები შეთანხმდნენ რამდენიმე კვლევითი ცენტრისა და ლაბორატორიის შექმნაზე, მათ შორის:

- **აბრეშუმის გზის კვლევითი ინსტიტუტი** – გაძლიერებული სამეცნიერო-კვლევითი და ტექნოლოგიური თანამშრომლობისთვის;

²⁴ Lu, Z. (2019, June 12). *Top Chinese academic hits back at plagiarism claims over US-China trade war research*. From www.scmp.com: http://bit.ly/3YAT51I

²⁵ Shandong University of technology. (n.d.). *Official Website of the Shandong University of technology*. From <https://www.sdut.edu.cn/en/>

²⁶ ASPI. (n.d.). *Shandong University of Technology*. From www.unitracker.aspi.org.au: http://unitracker.aspi.org.au/universities/shandong-university-of-technology/

- **ზუსტი სოფლის მეურნეობის ერთობლივი კვლევითი ცენტრი** – ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო ავიაციაზე, ძირითად ტექნოლოგიებსა და ინტელექტუალურ ადჭურვილობაზე;
- **აკადემიკოსთა სამუშაო სადგური** – ახორციელებს სამეცნიერო და ტექნოლოგიურ კვლევებს, ერთობლივ პროექტებს, საწარმოებისთვის ტრენინგებს, ტექნოლოგიური ინოვაციების და საწარმოების სამრეწველო განახლების ხელშეწყობას ორივე ქვეყანაში;
- **მიკრობული უჯრედების ქარხნების საერთაშორისო ერთობლივი ლაბორატორია** – ფოკუსირებულია სამთავრობათაშორისო ორმხრივი თანამშრომლობის პროექტებზე, მოწვეული პროფესორების ან ახალგაზრდა მეცნიერების, ასევე ასპირანტების გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობასა და ერთობლივი პუბლიკაციების შექმნაზე;
- **საქართველოს კვლევითი ცენტრი შანდონგის ტექნოლოგიის უნივერსიტეტში, ჩინეთში** – ანალიტიკური ცენტრი, ე.წ. "Think Tank" შანდონგის მახასიათებლებით, რომელიც იკვლევს შემდეგ თემებს: ეკოლოგია, ბიოტექნოლოგია, სოფლის მეურნეობის წარმოება, ეკონომიკური და სავაჭრო ბრუნვა, ჰუმანისტური განათლება და გაცვლითი პოლიტიკა, სოციალურ სფეროებში თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- **საუნივერსიტეტო ალიანსი ორ სახელმწიფოს შორის** – რესურსების გაზიარების წახალისება, აკადემიური განვითარება, ნიჭის განვითარება, ინოვაციების საერთო საზოგადოება.

ამ მრავალმხრივი ინსტიტუტების შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის დასადგენად, „სამოქალაქო იდეამ“ ოფიციალური მოთხოვნით მიმართა ეროვნულ აკადემიას, თუმცა, ანგარიშის გამოქვეყნების პროცესში, მათგან პასუხი არ მიგვიღია; ამდენად, ჩვენ არ ვფლობთ დაზუსტებულ ინფორმაციას იმის შესახებ, ფუნქციონირებს თუ არა ინსტიტუტები მემორანდუმის საფუძველზე, თუ მათ შორის თანამშრომლობა მხოლოდ ფურცელზე დარჩა. ერთობლივ კვლევით ინიციატივებთან, სასწავლო ვიზიტებთან, აკადემიკოსებისა და სტუდენტების გაცვლით პროგრამებთან და სამთავრობო პროექტების განხორციელებასთან ერთად, მემორანდუმი მოუწოდებს ქართულ მხარეს, განაცხადოს „აბრეშუმის გზის“ სტიპენდიაზე, რომელიც ინიცირებულია ჩინეთის მთავრობის, უფრო სწორედ ჩინეთის განათლების სამინისტროს მიერ და ჩინეთში სწავლის პერიოდში სრულად აფინანსებს ქართველ სტუდენტებს. სტიპენდია ძირითადად ისეთ ტექნიკურ სფეროებს მოიცავს როგორებიცაა: სამოქალაქო ინჟინერია, საერთაშორისო ეკონომიკა და ვაჭრობა, კომპიუტერული მეცნიერება და ტექნოლოგია, საკომუნიკაციო ინჟინერია, საინფორმაციო და გამოთვლითი მეცნიერება, კვების მეცნიერება და ინჟინერია,

გამოყენებითი ფიზიკა, ციფრული მედია და რობოტიკის ინჟინერია.²⁷ სწორედ ეს სფეროებია ჩინეთის მთავრობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი, რათა განავითაროს ტექნოლოგია და საერთაშორისო მასშტაბით მეცნიერების დარგში ლიდერის პოზიცია დაიმკვიდროს. გარდა ამისა, ჩინეთის კომუნისტური პარტია იყენებს სხვადასხვა სტიპენდიას უცხოელ სტუდენტებში თავისი იდეოლოგიური პროპაგანდის გასავრცელებლად. მაგალითად, ნანჩანგის საავიაციო უნივერსიტეტმა, ჩინეთის სახელმწიფო მედია კონგლომერატთან ერთად, დააარსა "[Jiangxi International Communication Research Center](#)", რომლის მიზანს უნივერსიტეტის "უცხოელი სტუდენტური რესურსის" მეშვეობით, საერთაშორისო კომუნიკაციის წარმოება წარმოადგენს.²⁸

შანდონგის ტექნოლოგიის უნივერსიტეტთან საქართველოს აკადემიის შეთანხმება განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან ის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონებით რეგულირდება. ეს ნიშნავს, რომ თუ დავა ვერ გადაწყდა მეგობრული კონსულტაციის გზით, იგი გადაეცემა კომპეტენტურ სახალხო სასამართლოს და მისი გადაწყვეტა სასამართლო პროცესის მეშვეობით მოხდება. შესაბამისად, ქართული მხარე კარგავს სამართლებრივ ძალას, ხოლო ჩინეთის მთავრობას რჩება სრული უფლებამოსილება წარმართოს დავები ისე, როგორც მას სურს. ეს გარემოება საფრთხეს უქმნის ერთობლივი კვლევის შედეგად მიღებულ ინტელექტუალურ საკუთრებას, პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობას, რისი ექსპლუატაციაც შესაძლოა გაუადვილდეს ჩინეთის ხელისუფლებას.

იანტაის ახალი და მაღალი ტექნოლოგიების ზონის გაცვლის საერთაშორისო ცენტრი

კიდევ ერთი ჩინეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული დაწესებულება, რომელთანაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გააფორმა თანამშრომლობის ხელშეკრულება იანტაის ახალი და მაღალი ტექნოლოგიების ზონის გაცვლის საერთაშორისო ცენტრია. ამ შეთანხმების შესაბამისად, 2014 წელს, ორმა მხარემ შექმნა ჩინეთ-საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერის ცენტრი, რომელიც მდებარეობს შანდონგის პროვინციაში, იანტაის ახალი და მაღალი ტექნოლოგიების ინდუს-

²⁷ Scholarship. (2022, April 20). *Silk Road Scholarships 2022 in China for International Students (CSC Scholarship)*. From <https://scholarshipph.com/silk-road-scholarships-china/>

²⁸ Bandurski, D. (2023, January 25). *Getting Personal With State Propaganda*. From [www.chinamediaproject.org: https://chinamediaproject.org/2023/01/25/making-propaganda-personal/](https://chinamediaproject.org/2023/01/25/making-propaganda-personal/)

ტრიულ ზონაში. ხელშეკრულება მოქმედებს ხუთი წლის განმავლობაში და ავტომატურად ახლდება ვადის გასვლის შემდეგ. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- მაღალტექნოლოგიურ სფეროში მიღებული შედეგების პოპულარიზაცია და რეკლამა - მრგვალი მაგიდების, კონფერენციების, სემინარების, გამოფენების ორგანიზებით;
- მაღალტექნოლოგიურ სფეროში მიწოდების ბაზრის მარკეტინგული კვლევის ჩატარება;
- სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების ერთობლივი განხორციელება;
- მაღალტექნოლოგიური პროდუქციის რეალიზაცია;
- სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთობლივი კვლევების მხარდაჭერა.



ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანამშრომლობა მხოლოდ ქალაქდზე კი არ დარჩა, არამედ რეალობაშიც აისახა. 2014 წელს, საქართველოში შეიქმნა იანტაის ახალი და მაღალი ტექნოლოგიების ზონის გაცვლის საერთაშორისო ცენტრის ფილიალი, რის შედეგადაც ქართველი მეცნიერები აგრძელებენ მუშაობას ჩინეთში. ამას მოწმობს საქართველოს აკადემიის პრეზიდენტის, ბატონი გიორგი კვესიტაძის არაერთი ვიზიტი ჩინეთში.²⁹ 2019 წელს, საქართველოში გაიმართა იანტაის აბრეშუმის გზის ახალი და მაღალი ტექნოლოგიების პარკის ასოციაციის IV სესია სახელწოდებით - „აბრეშუმის გზის განვითარ-

²⁹ The Georgian National Academy of Sciences. (2020, December 22). A letter from the People's Republic of China. From [www.science.org.ge: http://science.org.ge/?p=8453](http://science.org.ge/?p=8453)

ება მომავალში, ერთი სარტყელი, ერთი გზა“. საქართველოს აკადემიის სახელით პრეზენტაციები წარადგინეს თამაზ ნატრიაშვილმა და თინათინ სადუნიშვილმა, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას წარმოადგენდნენ: გუო ჟიგანგი (ლიაოჰენგის მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიული განვითარების ზონა), ჟანგ შიმინი (იანტაის ფარმაცევტული კვლევითი ინსტიტუტი) და უანგ შიჩუ (ზუსტი მეურნეობა, სასოფლო მეურნეობის რობოტი).³⁰

იანტაის ეროვნული მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრიული განვითარების ზონა & LINYI TOP NETWORK CO., LTD

2018 წელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს იანტაის ეროვნული მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრიული განვითარების ზონასთან. მემორანდუმის მთავარი მიზანია სამეცნიერო და ტექნოლოგიური ვიზიტები და აკადემიური გაცვლები, ასევე ახალგაზრდა მეცნიერების გაცვლა, რომელთაც სურთ ჩინეთში მუშაობა. დოკუმენტის საფუძველზე, საქართველოს აკადემია ვალდებულია, იანტაის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდაცია გაუწიოს და მიაწოდოს ინფორმაცია ახალგაზრდა ექსპერტების შესახებ.



წყარო: http://www.china.org.cn/china/shandong/2012-06/24/content_25724424.htm

³⁰ The Georgian National Academy of Sciences. (2019, October 15). *Visit of Chinese scientists to the Academy of Sciences*. From [www.science.org.ge: http://science.org.ge/?p=5841](http://science.org.ge/?p=5841)

ეს თანამშრომლობა საყურადღებოა, ვინაიდან იანტაის მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიული განვითარების ზონა წარმოადგენს „ჩინეთ-რუსეთის პირველი მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიალიზაციის თანამშრომლობის სადემონსტრაციო ბაზას“,³¹ რაც ნიშნავს, რომ ერთობლივი პროექტებიდან მიღებული სენსიტიური ინფორმაცია არა მხოლოდ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელში მოხვდება, არამედ კრემლსაც ექნება მასზე წვდომა, რაც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

შანდონგის პროვინციიდან კიდევ ერთ პარტნიორს, რომელთანაც თანამშრომლობის ხელშეკრულება 2016 წელს გაფორმდა, ჩინურ-ინდური საწარმო Linyi Top Network Co., Ltd წარმოადგენს.³² ის 1998 წელს დაარსებული Shandong Linyi ეკონომიკური განვითარების ზონის ნაწილია და აღიარებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, როგორც პროვინციული ეკონომიკური განვითარების ზონა.³³ ამ თანამშრომლობის ფარგლებში, ჩინურმა და ქართულმა მხარეებმა უნდა განახორციელონ შემდეგი აქტივობები: ფინანსური და ტექნიკური ინფორმაციის გაცვლა, აღჭურვილობის მიწოდება, ტექნოლოგიების განვითარება, ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განხორციელება, ერთობლივი სტრუქტურების შექმნა - ლაბორატორიები, ინოვაციები და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის ცენტრები, გაყიდვების ლიცენზიები, ინოვაციური პროდუქტების მარკეტინგული კვლევები, ტექნოლოგიების რეალიზაციისთვის პარტნიორების ძებნა, ტექნოლოგიების რეალიზაცია ორივე ქვეყნის წარმომადგენელ კომპანიებში.

ჩინურ კომპანიებთან თანამშრომლობა ერთი შეხედვით ძალიან მიმზიდველი ჩანს, მაგრამ შეიძლება შეიცავდეს უსაფრთხოების რისკებს, რომელიც გამჟღავნების ნაკლებობასთან, ან არასასურველი ინფორმაციის გადაცემასთან არის დაკავშირებული. ამის მაგალითად შვედეთში მომხდარი შემთხვევა შეგვიძლია გავიხსენოთ. შვედ მკვლევარს, რომელმაც პარტნიორული კავშირები ერთ-ერთ ჩინურ კომპანიასთან დაამყარა, ამ უკანასკნელმა ყველა შიდა კომუნიკაციის ჩატარება კომპანიის პირად პლატფორმაზე მოთხოვა.⁵ თუმცა, შვედურმა კვლევითმა ინსტიტუტმა დაუყოვნებლივ მოახდინა პრობლემის იდენტიფიცირება და მის აღმოსაფხვრელად კონკრეტული პოლიტიკა შეიმუშავა.

³¹ Yantai High-Tech Industrial Development Zone. (2018, September 23). *Yantai High-Tech Industrial Development Zone*. From <https://en.selectshandong.com/enwebsite/article/index/id/1375/cid/296.html>

³² Infotop. (N/A). *Linyi Top Network Co., Ltd (Infotop)*. From www.en.iamtop.net: http://en.iamtop.net/index.php/en/

³³ *Linyi Economic Development Zone*. (2022, January 3). From https://www.selectshandong.com/home/article_en/index/id/15443.html



კიდევ ერთი დიდი აქტორი შანდონგის პროვინციდან არის ჩინეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შანდონგის მეცნიერებათა აკადემია, რომელმაც 2018 წელს ხელი მოაწერა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შეთანხმებას, რომელიც ძალაშია ხუთი წლის განმავლობაში და შემდგომ ავტომატურად ახლდება. დოკუმენტების საფუძველზე მხარეები შეთანხმდნენ შექმნან „**ჩინეთ-საქართველოს ერთობლივი ლაბორატორია ადგილობრივი ბიორესურსების განვითარებისა და დამუშავებისთვის**“. ლაბორატორიის მიზანია ჩინეთისა და საქართველოს უნივერსიტეტ-ების, კვლევითი ინსტიტუტებისა და საწარმოების ერთმანეთთან დაახლოება, ჩინეთისა და საქართველოს ბიო რესურსების გაერთიანება და ინდუსტრიული ინოვაციების მიღწევა და ექსპერტებისა და სპეციალისტების მიერ ცოდნის გაზიარება. მემორანდუმში ნათქვამია, რომ შანდონგისა და საქართველოს მთავრობები, მეცნიერებათა აკადემიებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ კვლევით და სამრეწველო პროექტებში. 2019 წლის ივნისში, შანდონგის მეცნიერებათა აკადემიის ეკოლოგიის ინსტიტუტის 4 კაციანი დელეგაცია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ეწვია და გაიმართა ქართულ-ჩინური მრგვალი მაგიდა, რომლის ფარგლებშიც **მხარეებმა განიხილეს პროექტი ბიოკონტროლის მომზადებაში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ**.³⁴

ჩინეთისა და საქართველოს მთავრობებთან თანამშრომლობის საფუძველზე, ლაბორატორიას შეუძლია მოიპოვოს დამატებითი დაფინანსება კვლევითი გრანტების სახით. ასევე, მთავრობებს შეუძლიათ დროდადრო ლაბორატორიისთვის უზრუნველყონ დამატებითი სახსრები. ახალი და დამოუკიდებელი შეთანხმება არეგულირებს ნებისმიერ კონკრეტულ კვლევასა და პროექტს ლაბორატორიასა და პარტნიორ მხარეებს შორის. აქედან გამომდინარე, ეს არის ახალი შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს მის ფინანსურ წვლილს, თანამშრომლობის ხასიათს, მხარეთა როლსა და პასუხისმგებლობებს, თანამშრომლობის საფუძველზე შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელობასა და კომერციალიზაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ჩინეთის მთავრობა ლაბორატორიას რაიმე კონკრეტულ კვლევას შეუკვეთავს, მას შეუძლია ახალი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თავის ინტერესებზე მორგება. მიუხედავად ამისა, ასეთი ექსკლუზიური კვლევების

³⁴ The Georgian National Academy of Sciences. (2019, July 9). *Meeting with the Chinese Scientists*. From [www.science.org.ge: http://science.org.ge/?p=5111](http://science.org.ge/?p=5111)

და პროექტების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისთვის მიუწვდომელია, რადგან ამ შეთანხმების ფარგლებში მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა ინფორმაცია, ცოდნა და დოკუმენტი შიდა კონფიდენციალური მასალაა. მხარეებს ეკრძალებათ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება ურთიერთშეთანხმების გარეშე და კონფიდენციალურობის პერიოდი, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, კიდევ ხუთი წლის განმავლობაში გრძელდება.

თანამშრომლობა გუანდონგის (GUANGDONG) პროვინციასა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პროვინციულ ასოციაციასთან

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მემორანდუმი ასევე ჩინეთში, გუანდონგის პროვინციაში არსებულ დაწესებულებებთან გააფორმა. 2019 წლის ოქტომბერში, აკადემიას ჩინეთის გუანდონგის საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოს 6 კაციალი დელეგაცია ეწვია ლი ძიანის ხელმძღვანელობით.³⁵ ამ ვიზიტის მთავარი მიზანი იყო საქართველოს აკადემიასა და გუანდონგის პროვინციას შორის ურთიერთობის გაღრმავება და 21-ე სამეცნიერო შეხვედრაზე მოწვევა, რომელიც ითვალისწინებს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას ჩინელ და უცხოელ სპეციალისტებს შორის. იმავე წლის დეკემბერში, საქართველოს გუანდონგის პროვინციიდან შვიდი მეცნიერი ეწვია. მეცნიერები წარმოადგენდნენ გუანდონგის პროვინციის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ასოციაციას³⁶ - "სახალხო ორგანიზაცია ჩინეთის კომუნისტური პარტიის გუანდონგის პროვინციული პარტიის კომიტეტის ხელმძღვანელობით და პროვინციულ პარტიულ კომიტეტსა და პროვინციის მთავრობას შორის არსებული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მუშაკების მთავარ დამაკავშირებელ უწყებას."



მხარეებს შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, ჩინეთის ასოციაცია საქართველოში პრაქტიკული თანამშრომლობისთვის საზღვარგარეთულ ფილიალებს დააფუძნებს.³⁷ მემორანდუმის მიზანია საქართველოსა და გუანდონგის პროვინციას შორის ინოვაციებისა და ნიჭის გაცვლა (დელეგაციის ვიზიტები, პერსონალის ვიზიტები), ერთობლივი კვლევების/პროექტების ხელშეწყობა და მათი განხორციელება (ფინანსური ინვესტიციები, მომგებიანი სიტუაციის შექმნა), ბრენდის პოპულარიზაცია (ორივე მხარე წახალისებს ერთმანეთის ბრენდებს), უკეთესი სერვისის ტექნოლოგიური საწარმოებისთვის – ტექნოლოგიების წარმოება და საწარმოთა თანამშრომლობა. **მხარეები შეთანხმდნენ, რომ დაიცვან კონფიდენციალურობა და საიდუმლო ინფორმაცია, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, ერთმანეთის კანონიერი უფლებები და ინტერესები.** მნიშვნელოვანია ზუსტად ვიცოდეთ, რა სახის კვლევები და პროექტები ტარდება ამ თანამშრომლობის ფარგლებში, რადგან ამ გაცვლითი პროგრამებისა და ერთობლივი კვლევების კლასიფიცირების საფუძველზე, ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ ჩინელმა მეცნიერებმა ისარგებლონ ამ თანამშრომლობით და შეაგროვონ მათი სამხედრო და თავდაცვის სფეროებისთვის კრიტიკული მონაცემები. ამ ხელშეკრულებით განხორციელებული ერთობლივი ღონისძიებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნით მივმართეთ ადგილობრივ განათლების სამინისტროსა და ეროვნულ აკადემიას, თუმცა, პასუხი დასმულ კითხვებზე ჯერ კიდევ არ მიგვიღია. ASPI-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2008 წლიდან მოყოლებული, ჩინეთის სახალხო არმიასთან დაახლოებული 2500 მეცნიერი გაემგზავრა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით დასავლეთის სახელმწიფოებში, რათა შეაგროვონ კვლევები ჩინეთის სამხედრო უწყებებისთვის მნიშვნელოვან კრიტიკულ სფეროებში.³⁸ შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, არიან თუ არა ისინი განლაგებული საქართველოშიც.

ქართველი აკადემიკოსების როლი სინო-ქართული სამეცნიერო თანამშრომლობის ბალრმაკებაში

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ჩინურ უწყებებთან შეთანხმებულ ყველა დოკუმენტს ხელს აწერს მეცნიერებათა ეროვნული

